

შპს აგროკონსორციუმი წეროვანი

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	13
5. სავაჭრო მოთხოვნები	13
6. სასაქონლო მატერიალური მარაგები.....	13
7. ძირითადი საშუალებები	14
8. სავაჭრო ვალდებულებები.....	15
9. სასესხო ვალდებულებები	15
10. შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი	16
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16
12. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	17
13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	17
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31-12-23	31-12-22 (გადაანგარიშებული)	31-12-21 (გადაანგარიშებული)
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	196,356	85,075	61,587
სავაჭრო მოთხოვნები	5	2,688,374	1,898,799	1,475,527
სასაქონლო მატერიალური მარაგი	6	786,157	751,502	1,178,628
გადახდილი ავანსები		21,633	-	48,689
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-	45,845
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,692,520	2,735,376	2,810,276
გრძელევადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	1,695,425	1,771,990	1,914,136
არამატერიალური აქტივები		500	7,547	4,972
სულ გრძელევადიანი აქტივები		1,695,925	1,779,537	1,919,108
სულ აქტივები		5,388,445	4,514,913	4,729,384
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	938,844	755,534	779,250
გადასახდელი ხელფასები		-	57,903	47,677
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	9	232,677	206,012	182,335
საგადასახადო ვალდებულებები		83,061	26,168	-
მიღებული ავანსები		217,285	217,972	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		733	4,408	61,440
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,472,600	1,267,997	1,070,702
გრძელევადიანი ვალდებულებები				
გრძელევადიანი სასესხო ვალდებულებები	9	373,377	801,099	1,279,969
სულ გრძელევადიანი ვალდებულებები		373,377	801,099	1,279,969
სულ ვალდებულებები		1,845,977	2,069,096	2,350,671
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		211,982	211,982	211,982
დაგროვილი მოგება		3,330,486	2,233,835	2,166,731
სულ საკუთარი კაპიტალი		3,542,468	2,445,817	2,378,713
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5,388,445	4,514,913	4,729,384

დირექტორი ----- ილია პატიაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31-12-23	31-12-22 (გადაწერილი)	31-12-21 (გადაწერილი)
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	196,356	85,075	61,587
სავაჭრო მოთხოვნები	5	2,688,374	1,898,799	1,475,527
სასაქონლო მატერიალური მარაგი	6	786,157	751,502	1,178,628
გადახდილი ავანსები		21,633	-	48,689
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-	45,845
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,692,520	2,735,376	2,810,276
გრძელევადიანი აქტივები				
ბირთადი საშუალებები	7	1,695,425	1,771,990	1,914,136
არამატერიალური აქტივები		500	7,547	4,972
სულ გრძელევადიანი აქტივები		1,695,925	1,779,537	1,919,108
სულ აქტივები		5,388,445	4,514,913	4,729,384
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	938,844	755,534	779,250
გადასახდელი ხელფასები		-	57,903	47,677
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	9	232,677	206,012	182,335
საგადასახადადო ვალდებულებები		83,061	26,168	-
მიღებული ავანსები		217,285	217,972	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		733	4,408	61,440
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,472,600	1,267,997	1,070,702
გრძელევადიანი ვალდებულებები				
გრძელევადიანი სასესხო ვალდებულებები	9	373,377	801,099	1,279,969
სულ გრძელევადიანი ვალდებულებები		373,377	801,099	1,279,969
სულ ვალდებულებები		1,845,977	2,069,096	2,350,671
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		211,982	211,982	211,982
დაგროვილი მოგება		3,330,486	2,233,835	2,166,731
სულ საკუთარი კაპიტალი		3,542,468	2,445,817	2,378,713
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5,388,445	4,514,913	4,729,384

დირექტორი

ილია პატიაშვილი



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	8,599,873	13,369,249
თვითღირებულების ხარჯი	10	(6,602,117)	(11,881,827)
საერთო მოგება		1,997,756	1,487,422
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(406,661)	(453,752)
ხელფასები და სხვა სარგებელი	12	(288,852)	(676,351)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(90,715)	(145,513)
სხვა შემოსავლები		32,636	41,271
სხვა ხარჯები		(38,154)	(43,847)
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		1,206,010	209,230
საპროცენტო ხარჯი		(95,893)	(126,365)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან		(11,033)	(15,761)
მოგება დაბეგვრამდე		1,099,084	67,104
მოგების გადასახადი		(2,433)	-
წმინდა მოგება		1,096,651	67,104

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარი	211,982	2,166,731	2,378,713
წმინდა მოგება	-	67,104	67,104
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	211,982	2,233,835	2,445,817
წმინდა მოგება	-	1,096,651	1,096,651
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	211,982	3,330,486	3,542,468

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს აგროკონსორციუმი წეროვანი დაფუძნდა 1996 წლის 18 ნოემბერს. კომპანიის მისამართია: საქართველო, მცხეთის რაიონი სოფელი წეროვანი. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 236037917.

კომპანიის პარტნიორებს წარმოადგენენ ავთანდილ ჩინჩალაძე (პ/ნ: 01024019134) 37%, ილია პატიაშვილი (პ/ნ: 01008006378) 10%, ჯუმბერი პატიაშვილი (პ/ნ: 31001002636) 25%, იონა ცქიფურიშვილი (პ/ნ: 01019054611) 23% და ლევან ბერაია (პ/ნ: 31001044725) 5%.

კომპანიის დირექტორს წარმოადგენს ილია პატიაშვილი (პ/ნ: 01008006378), რომელიც ამავდროულად არის 10%-ანი წილის მფლობელი.

საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კვების პროდუქტების წარმოება (სპრედი, რძის შემცველი პროდუქტი, მაიონეზი, ჩილი) საბითუმო რეალიზაცია და დისტრიბუცია სავაჭრო ობიექტებზე სადისტრიბუციო მანქანების საშუალებით.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2023 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ფინანსური უწყისები, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით
(გადაანგარიშებამდე)**

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	204653	61587	90610
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2167867	1492525	1341326
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	14575	48689	24695
მარაგები	734844	1178628	784374
მზა პროდუქცია	129247	195041	175230
სხვა	605597	983587	609144
საინვესტიციო ქონება	5224	481	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	45364	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	1209	4972	10914
ძირითადი საშუალებები	1806343	1743704	1813922
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	198847	198847
სულ აქტივები	4934715	4774797	4264688
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	957683	779250	165924
ანარიცხები	313703	60000	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	67123	47677	40031
საგადასახადო ვალდებულებები	132173	0	14932
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	1504028
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1036647	1462304	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	6252	1440	1392
სულ ვალდებულებები	2513581	2350671	1726307
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	211982	211982	211982
საემისიო შემოსავალი	0	73336	36240
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	191370	121026	172377
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	2017782	2017782	2117782
სულ საკუთარი კაპიტალი	2421134	2424126	2538381
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4934715	4774797	4264688
სულ მოკლევადიანი აქტივები	3128163	2781429	2241005
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გადაანგარიშებამდე)

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	13410520	9966155
საქონლის გაყიდვიდან	13316089	9917110
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	94431	49045
გაყიდვების თვითღირებულება	-11881827	-8623704
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1528693	1342451
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-676351	-588781
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-142146	-79886
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-142126	-157589
იჯარის ხარჯი	-7500	-18000
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-490099	-403576
სულ საოპერაციო ხარჯები	-1458222	-1247832
საოპერაციო მოგება	70471	94619
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	70471	94619
განგრძობითი ოპერაციებიდან		
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	70471	94619

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2023 წლის 31 დეკემბრისა და **2022** წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

თარიღი	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	50
ოფისის აღჭურვილობა	5
მანქანა-დანადგარები	10
საწარმოს აღჭურვილობა	7-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	3-10

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. კომპანიის მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

კომპანიას არჩეული აქვს თვითღირებულების მოდელი. შესაბამისად, არ ხდება ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულებაზე გადაფასება.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა. აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

3.3 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) მარაგის შენახვის დანახარჯები; ბ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; გ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი.

3.4 ნასესხები სახსრები (სასესხო ვალდებულებები)

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ გარიგების ხარჯების (მათ შორის სესხის გაცემის საკომისიო) წრფივი ამორტიზაციის მეთოდი არ იძლევა მატერიალურ სხვაობას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდთან, ასეთ შემთხვევაში ხდება ამ ხარჯების წრფივი ამორტიზაცია და საპროცენტო ხარჯში აღიარება დროის გასვლის პროპორციულად. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

3.5 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამომგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.6 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.7 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფულის ძირითადი ნაწილი განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე, ხოლო ფულადი სახსრების ნაწილს ინახავს სალაროში.

2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-23	31-12-22
ფული ეროვნულ ვალუტაში	196,356	75,163
ფული უცხოურ ვალუტაში	-	9,912
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	196,356	85,075

5. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები უკავშირდება ძირითადად იურიდიულ პირებს, თუმცა კომპანიას ასევე ყავს ფიზიკური პირი მყიდველები.

2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-23	31-12-22
იურიდიული პირები	2,058,110	1,310,579
ფიზიკური პირები	630,264	588,220
სულ სავაჭრო მოთხოვნები	2,688,374	1,898,799

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგები დაყოფილია საქონლად და ნედლეულად და მზა პროდუქციად.

მათი ნაშთები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სასაქონლო მატერიალური მარაგი	31-12-23	31-12-22
საქონელი და ნედლეული	778,965	751,356
მზა პროდუქცია	7,192	146
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	786,157	751,502

7. ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებებზე 2023 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	რეალიზაცია	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწის ნაკვეთები	46,401	-	-	46,401
შენობა-ნაგებობები	1,106,435	-	8,222	1,114,657
მანქანა-დანადგარები	1,817,856	(11,019)	2,688	1,809,525
ოფისის აღჭურვილობა	19,261	-	573	19,834
საწარმოს აღჭურვილობა	-	-	5,847	5,847
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7,533	-	2,017	9,550
სატრანსპორტო საშუალებები	287,344	-	-	287,344
სულ	3,284,830	(11,019)	19,347	3,293,158
დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	რეალიზაცია	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
შენობა-ნაგებობები	263,749	-	37,979	301,728
მანქანა-დანადგარები	1,096,125	(2,454)	29,691	1,123,362
ოფისის აღჭურვილობა	10,357	-	3,101	13,458
საწარმოს აღჭურვილობა	-	-	807	807
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7,856	-	288	8,144
სატრანსპორტო საშუალებები	134,753	-	15,481	150,234
სულ	1,512,840	(2,454)	87,347	1,597,733

ძირითად საშუალებებზე 2022 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	რეალიზაცია	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწის ნაკვეთები	46,401	-	-	46,401
შენობა-ნაგებობები	1,106,435	-	-	1,106,435
მანქანა-დანადგარები	1,817,856	-	-	1,817,856
ოფისის აღჭურვილობა	19,261	-	-	19,261
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7,533	-	-	7,533
სატრანსპორტო საშუალებები	287,344	-	-	287,344
სულ	3,284,830	-	-	3,284,830

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	რეალიზაცია	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
შენობა-ნაგებობები	201,944	-	61,805	263,749
მანქანა-დანადგარები	1,047,807	-	48,318	1,096,125
ოფისის აღჭურვილობა	5,311	-	5,046	10,357
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7,387	-	469	7,856
სატრანსპორტო საშუალებები	108,245	-	26,508	134,753
სულ	1,370,694	-	142,146	1,512,840

8. სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები უკავშირდება როგორც იურიდიულ მომწოდებლებს ასევე ფიზიკურ მომწოდებლებს.

2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-23	31-12-22
იურიდიული პირები	589,203	410,447
ფიზიკური პირები	349,641	345,087
სულ სავაჭრო ვალდებულებები	938,844	755,534

9. სასესხო ვალდებულებები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები შედგება ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებისგან.

2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სასესხო ვალდებულებები	31-12-23	31-12-22
სესხი ეროვნულ ვალუტაში	357,396	636,725
სესხი უცხოურ ვალუტაში	248,658	370,386
სულ სასესხო ვალდებულებები	606,054	1,007,111

10. შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი

საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კვების პროდუქტების წარმოება (სპრედი, რძის შემცველი პროდუქტი, მაიონეზი, ჩილი), საბითუმო რეალიზაცია და დისტრიბუცია სავაჭრო ობიექტებზე სადისტრიბუციო მანქანების საშაულებით.

დარიცხული შემოსავალი და მიწოდებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	2023	2022
შემოსავალი, საიდანაც:	8,599,873	13,369,249
შემოსავალი საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან	8,610,932	13,386,441
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(11,059)	(17,192)
თვითღირებულება:	(6,602,117)	(11,881,827)
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(6,602,117)	(11,881,827)
საერთო მოგება	1,997,756	1,487,422

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022
საგადასახადო ხარჯები	108,276	110,814
საწვავის და ტრანსპორტირების ხარჯი	77,155	96,089
მიწოდების ხარჯები	52,091	53,023
რემონტისა და შენახვის ხარჯი	50,508	66,357
სამეურნეო ხარჯი	19,523	8,884
საკონსულტაციო ხარჯები	8,929	16,963
საკომუნიკაციო ხარჯი	5,746	5,911
საოფისე ინვენტარის ხარჯი	2,503	3,293
კომუნალური ხარჯები	1,950	2,676
საკანცელარიო ხარჯი	1,678	1,372
დაცვის ხარჯი	1,398	2,060
საბანკო მომსახურების ხარჯი	1,383	1,043
კომპიუტერის ხარჯები	1,000	1,616
საკონსულტაციო ხარჯი	749	835
საინჟინრო ხარჯი	392	939
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	73,380	81,877
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	406,661	453,752

12. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2023	2022
სახელფასო ხარჯი	280,871	657,663
საპენსიო და სხვა სარგებელი	7,981	18,688
სულ ხელფასები და სხვა სარგებელი	288,852	676,351

13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2023 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 28,519 ლარი, ხოლო 2022 წელს 12,000 ლარი.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.